პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

ხუთშაბათი 19 იანვარი, 1978 წ. № 16 (17060) ფასი 2 კაპ.

საბჭო წლის გეგმა — 7 ოქტომბრისათვის

ჩვენი ქვეყნის ფოლადის მაგისტრალებზე ოცი წლის წინათ გავიდა პირველი ქართული ელმავალი. მის კაბინაზე ეწერა: ვლ-8. ათი წლის შემდეგ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა მეთთხე ლოკომოტივი დაამზადა. ეს უკვე იყო ვლ-10, რომელიც 25 პროცენტით ძლიერია თავის წინამორბედთან შედარებით.

საწარმოს ჩევრმა მუშაკმა მხარი დაუჭირა მოსკოველთა ინიციატივას — შეასრულონ ხუთწლედის სამი წლის გეგმა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისათვისა. ამ მხარდამჭერთა შორის არის ზუსტი სხმულის მეყალობეთა ბრიგადა, რომელსაც ჯუმბერ სანიკიძე ხელმძღვანელობს.

სურათზე: ზუსტი ლითონწამოსხმის მეყალობეთა ბრიგადის ხელმძღვანელი ჯუმბერ სანიკიძე (მარჯვნივ) და მეკავშირე ანდრეი მარგიევი. გ. მორგუშოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მთავარი მიმართულება

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, კოლმეურნეობების საბჭოები მოვალენი არიან იხელმძღვანელონ იმით, რომ სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განხორციელება სამეურნეოგათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის გაზაზე სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის — პარტიის კომპლექსური პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

როგორც გუშინ გაზეთი „კომუნისტი“ იუწყებოდა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პიუროომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი IX პლენუმი მოწვეულ იქნეს 1978 წლის 10-11 თებერვალს შემდეგი დღის წესრიგით: „საქართველოს სს რესპუბლიკაში პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და „სამეურნეოგათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის გაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების ზეგავლენა ადამიანთა ცხოვრებაზე“. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ზეგავლენა ადამიანთა ცხოვრებაზე“.

ამ საკითხზე მოგახსენებლად დამპკიცებულია ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ავთორებს რა უკანასკნელ წლებში დამკვიდრებულ ტრადიციას, თავისი მორიგი პლენუმის წინ საჭიროდ მიიჩნია რესპუბლიკის საზოგადოებრიობას მოეთათბიროს განსახილველ საკითხზე, რათა პლენუმის მუშაობაში მთელი სიღრმით აისახოს მეცნიერთა, სპეციალისტთა, მშენებელთა — იმათი ყველაზე საყურადღებო წინადადებანი და რჩევა, ვინც დაინტერესებულია ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დაჩქარებით.

როგორც ვხედავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი IX პლენუმი განიხილავს ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის უმნიშვნელოვანეს საკითხს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ახორციელებს რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის დადგენილებას — „სამეურნეოგათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის გაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომ განვითარებაზე“ — ერთხელ კიდევ მიაქცევს მთელ ჩვენს ყურადღებას უმნიშვნელოვანესი საერთო-პარტიული, საერთო-სახალხო, ამოცანას — კიდევ უფრო განვავითაროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ავამაღლოთ მისი ეფექტიანობა.

ცნობილია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი 1976 წლის ამ ისტორიულ დადგენილებაში ბაზის უსვამდა „სამეურნეოგათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოებულ სამრეწველო საფუძველზე ერთიანი ღონისძიებათა კი არა, არამედ ხანგრძლივი პერსპექტივისათვის გაუპალიონიერები პროცესია. რომელიც უკავშირდება გარკვეულ ეკონომიკურ კირობებსა და საწარმოო ძალების განვითარების დონეს“.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ ისტორიული დადგენილების მიღებიდან ერთი წელი და რვა თვე გავიდა. გაბვლილ პერიოდში ამ დიდმნიშვნელოვანი, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის მთავარი საკითხის შესწავლა და ამ დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლა რეპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით თანმიმდევრულად, მეცნიერულ დონეზე მიმდინარეობდა. ახლა კი, როცა შეიქმნა პირობები რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარებისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის მორიგ პლენუმზე განხილვის წინ, მეტად სახარგებლო ტრადიციებისაებრ, საჭიროდ მიიჩნევს რესპუბლიკის საზოგადოებრიობას, მოეთათბიროს განსახილველ საკითხზე.

როგორც ვიცით საბჭოთა კავშირს კომუნისტური პარტიის თანამედროვე აგრარულ პოლიტიკას საფუძველი ჩაეყარა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმზე. მაშინ მიღებულმა ისტორიულმა დადგენილებამ სასიკეთო გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი მეურნეობების ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე. ეს ნათლად დაამტკიცა ორმა განვლილმა ხუთწლედმა და მეათე ხუთწლედის ორი წლის შედეგებმა. ამაზე ნათლად მეტყველებს ჩვენი რესპუბლიკის მაგალითიც. მეცხრე ხუთწლედში და მეათე ხუთწლედის ორ წელიწადში საქართველოს სოფლის მეურნეობა აღმავლობის გზით მიდის. მტკიცდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა, თანდათან მცირდება ჩამორჩენილ ხაზოგადოებრივ მეურნეობათა რიცხვი.

საქართველოს სოფლის მეურნეობამ განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელს. საქართველოს მეჩაიეებმა 1980 წლის მიჯნები აიღეს, სახელმწიფოს 412 ათას ტონაზე მეტი „წმენდა ოქრო“ მიმყიდეს, არანაკლები გამარჯვება მოიპოვეს ჩვენმა მეცოტრუხეებმა. დიდი გადამეტებით შეასრულეს დავალებები მეხილეებმა, მებოსტნეებმა, მემინდვრეებმა, მეყურტოფლეებმა, მეეკონომისტეებმა. და მეცხოველეებმა. ხაუიბილეო წლის გეგმები ბევრმა რაიონმა დიდი გადაჭარბებით გაანადგა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ჯეროვნად აფასებს მიღწეულს და ამასთანავე ნათლად ხედავს, რომ საზოგადოებრივი მეურნეობების ეკონომიკური მაჩვენებლები ჯერ კიდევ არ შეესაბამება მშრომელთა მზარდ მოთხოვნილებებს. სწორედ ამიტომ კიდევ უფრო მეტ აქტუალობას, მეტ ძალას იძენს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განსახილველი საკითხი.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებამ დაადასტურა, თუ რა უპირატესობა აქვთ მსხვილ სპეციალიზებულ საწარმოებს, განსაკუთრებით ისეთებს, სამეურნეოგათაშორისო კოოპერირებისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე რომ შეიქმნა. ამის საინტერესო ნიმუშს იძლევიან სამეურნეოგათაშორისო გაერთიანებანი, რომლებიც შეიქმნა და ფართოდ ვრცელდება მოლდავეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, კრასნოდარის მხარეში. რაღა შორს წავიდეთ, უკანასკნელ წლებში დიდ წარმატებებს მიაღწია და საკავშირო აღიარება მოიპოვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკურმა აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანებამ. ამ გაერთიანების ბაბოთა მეურნეობები მუშაობენ დევიზით—„მინდორი-მაღაზია“. ამან შესაძლებლობა მოგვცა თბილისისა და სხვა სამრეწველო ქალაქების მშრომელებს თითქმის მთელი წლის განმავლობაში მივაწოდოთ იაფი და ხარისხოვანი პროდუქცია.

რესპუბლიკაში შეიქმნა სხვა გაერთიანებებიც. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების საქმეში დადებითი გამოცდილება დააგროვეს ახალშის, გურჯაანის, ოერჯოლისა და მთელმა რიგმა სხვა რაიონებმა. ბევრ მთაგანში ფართო კოოპერირების ბაზაზე სპეციალიზაცია და კონცენტრაცია დროულად, გეგმაზომიერად მოახდინეს და წარმოება თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე დაეყვანეს. მაგრამ რა დასამალია, ზოგიერთი გაერთიანება, მათი სამეურნეოგათაშორისო მეურნეობები, ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ, წარმოებაში არ ნერგავენ მოწინავეთა გამოცდილებას. ამ მხრივ საუკეთესურს იმსახურებენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინიტროს გაერთიანება „საქართველოშეიქმნა“ მეფრინველეობის მთელი რიგი ფაბრიკები და „საქცხოველმრეწვა“ რაიონული გაერთიანების საკმაო ნაწილი. ზოგიერთ მეფრინველეობის ფაბრიკას და მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებებს კომპლექსში ხშირია ფრინველისა და პირუტყვის გაწყდომის ფაქტები, რაც ერთობ უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკაზე.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანა ამ ეტაპზე ის არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცხრე პლენუმამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარებისათვის, მოწინავეთა მაგალითისამებრ გადაკრით გააძლიერონ ბრძოლა იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლის მუშაობაში.

სამეურნეოგათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავება — ეს არის ჩვენი პარტიის ლენინური აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულების პრაქტიკული განხორციელება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს სოფლის მშრომელებმა აღიქვეს. როგორც წარმატების მძლავრი ბერკეტი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს სოფლის მშრომელებმა აღიქვეს. როგორც წარმატების მძლავრი ბერკეტი.

დღეგანდელ პროგრამის შესაბამისად კოსმონავტები იური რომანენკო და გიორგი გრეჩკო ფოტოსურათების ულიბლნენ საბჭოთა კავშირის, კერძოდ, შუა აზიის რესპუბლიკების, ყაზახეთის, სომხეთი ალტაის, ვოლგისპირეთის, ცენტრალური შავიზღვისაიდან ჯ. ი. ნ. ზონის ეროცელ რაიონებს.

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

ᲐᲕᲐᲛᲐᲦᲚᲝᲗ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲐᲜᲖᲔ!

საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან. ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს, სსრ კავშირის, უმაღლესი საბჭოს მერვე სესიისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმის გადაწყვეტილებებს. საბჭოთა საქართველოს, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი განვითარების ახალი მძლავრი სტიმული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

უდიდესი მშრომითი და პოლიტიკური აღმავლობა, რომელიც ამ უმნიშვნელოვანესმა დოკუმენტებმა გამოიწვია რესპუბლიკაში, თვალსაჩინოდ კიხახა

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 17 იანვარს გამართული კრების მუშაობაში.

კრებაზე აღინიშნა, რომ მეტმა წილმა საწარმოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, ბევრმა ქალაქმა და რაიონმა 1977 წელი ორგანიზებულად, კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს. საქართველოს ხახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები, რომლებმაც 1978 წელი დაჩქარებული შრომის წლად გამოაცხადეს, კიდევ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას. ახალი წლის პირველი დღეებიდანვე უზარუნველყოფენ ზუსტ, რიტმულ მუშაობას, განსაზღვრავენ ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა არა მარტო მთლიანად, არამედ აგრეთვე გადაჭარბებით შესრულების, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების გზებს.

კრებამ ჩაიარა ბოლშევიკური საქმიანობისა და პრინციპულობის, საქმისადმი ობიექტური, კრიტიკული მიდგომის, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობის, ახალი რეზერვებიან გამოვლინებაზე, ხელმძღვანელობისა სტილისა და მეთოდებს შემდგომ სრულყოფაზე ზრუნვის, მუშაობის ყველა დონეზე და უბანზე ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლების ნიშნით.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲗᲘ

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲗᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲗᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲗᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲗᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ

ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

ᲕᲘᲜᲬᲝᲜᲔᲑᲗ, ᲕᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲗ!

ᲮᲐᲚᲮᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘᲗ

ᲡᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ

ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲐᲓ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲗ

„ᲡᲐᲚᲣᲢ-6“: ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲐᲨᲘᲐ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲒᲐᲓᲐᲚᲔᲑᲐ

ავამაღლოთ ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობა მუშაობის ყველა უბანზე

(დასასრული)

წარმოების ინტენსიფიკაციის ქვაკუთხედია შრომის ნაყოფიერების გაზრდება. „აქტიურად ჩავებათ ეფექტიანობისა და ხარისხისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში — ეს იმას ნიშნავს, რომ გამოვიყენოთ მთელი შესაძლებლობანი უმაღლესი შრომის ნაყოფიერების მისაღწევად“, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილში „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

ამავე დროს, შრომის ნაყოფიერების მხრივ რესპუბლიკის მრეწველობაში ყველაფერი რიგზე ვერ არის. ფაქტიურად მისმა ზრდამ 1977 წელს მხოლოდ 105,4 პროცენტი შეადგინა, მაშინ როცა წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 105,6 პროცენტი და ნაცვლად სოციალისტური ვალდებულებებისა — 106 პროცენტი. უფრო მეტიც, საწარმოთა საერთო რიცხვის თითქმის 21 პროცენტმა კიდეევაც შეამცირა ეს მაჩვენებელი 1976 წელთან შედარებით. შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად მიღებულია სამრეწველო წარმოების საერთო მატების მხოლოდ 76,1 პროცენტი სოციალისტური ვალდებულებებით გათვალისწინებული 85 პროცენტის ნაცვლად.

შრომის ნაყოფიერების ზრდას აფერხებდა სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ზეგეგმითი რიცხვი, სამუშაო დროის დიდი დანაკარგები, კადრების დიდი დენადობა.

სამრეწველო წარმოების ორგანიზაციის კიდევ ერთი ნეგატიური მხარეა მთელ რიგ საწარმოებში პროდუქციის გამოშვების მოცულობის შემცირება ან მიღწეულთან შედარებით. ასეთმა საწარმოებმა შარშან გააოუშვეს 63,8 მილიონი მანეთის ნაკლები ღირებულების პროდუქცია, ვიდრე 1976 წელს.

კრებაზე განსაკუთრებით მწვავედ და პრინციპულად გააკრიტიკეს შემცირების მიზნით საწარმოო გეგმების დაუსაბუთებელი კორექტირების, მანიერი პრაქტიკა, რაც არსებითს ზარალს აყენებს რესპუბლიკას ეკონომიკას. ზოგჯერ საწარმოთა ხელმძღვანელები ყოველნაირად (ადრილბენ შეაჩერებენ სიგიჟმო დავალებანი, ნაცვლად იმისა, რომ დროზე აღმოფხვრან „ვიწრო ადგილები“ და გამოავლინონ საწარმოო რეზერვები, ამამლენ წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის დონე, და თავს იზღვევენ გეგმის რეალიზაციის პროცესში მოსალოდნელი ჯარიმებისაგან.

რესპუბლიკის მრეწველობაში დაბალი ფონდუკუნგებისა და მისი ზრდის არასაკმარისი ტემპის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ მთელ რიგ დარგებში ეფექტიანად არ იყენებენ საწარმო სიმძლავრეებს. რესპუბლიკის მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდები საშუალოდ დიდი-დიდი 75 პროცენტით არის დატვირთული. განსაკუთრებით დაბალია რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის, მსუბუქი, ადგილობრივი, ქვების, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების მთელ რიგ საწარმოთა საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების დონე. ყოველივე ამის შედეგად მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა ნელა უმჯობესდება, განსაკუთრებით, თუ მას მივუდგებით რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის რაციონალური პერსპექტიული მოდელის ფორმირების გათვალისწინებით.

აქტიურად ვიბრძოდეთ ეფექტიანობისათვის — ეს იმას ნიშნავს, რომ განუხრელად ვაუმჯობესებდეთ პროდუქციის ხარისხს, ვამაღლებდეთ მის ტექნიკურ დონეს, სამომხმარებლისა და ხანგამძლეობას. სიტყვა „ხარისხი“ ყველა საწარმოო რგოლის, მთელი სამეურნეო-სამმართველო აპარატის მუშაობის სიმბოლოდ ხდება და არსიც. მომხსენებლმა და ამბითის მონაწილეებმა ამ პოზიციებიდან განიხილეს რესპუბლიკაში მიღწეული მიჯნები და განიცადეს, რომ აღნიშნული ამოცანები ჩვენში ჯერ კიდევ ნელა წყდება. საკმარისია თქვას, რომ სახელმწიფო ხარისხისნიშნიან ნაწარმს უშვებს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა და გაერთიანებათა საერთო რაოდენობის მხოლოდ 18,6 პროცენტი.

კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ დადგა დრო შეიქმნას პროდუქციის ხარისხის მართვის მწყობრი სისტემა. ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ბრძოლის პირველ პლანზე დაყენება უნდა აისახოს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციასა და ჩატარებაში.

როგორც აქტივის კრებაზე ითქვა, ის ფაქტი, რომ 1977 წელს და საერთოდ ხუთწლედის ორი წლის მანძილზე სამრეწველო წარმოებამ უფრო მაღალ მიჯნებს მიაღწია, ვიდრე გეგმებით იყო გათვალისწინებული, მნიშვნელოვანწილად სოფლის მეურნეობის მუშაკთა თავდადებული შრომის შედეგია. ყურძნის დამზადების გეგმის შეუსრულებლობა დაფარა სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ზეგეგმითმა დამზადებამ. რესპუბლიკის მრეწველობის მიერ ორ წელიწადში მიღებული ზეგეგმითი პროდუქციის მთელ მოცულობაში ჩაის ფოთლის, ციტრუსების, ბოსტნეულის, ხილის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ზეგეგმითი დამზადების წილი 72 მილიონ მანეთს აღემატება.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო-წლიური წარმოება, წინასწარი მონაცემებით, მეცხრე ხუთწლედთან შედარებით 18 პროცენტით გაიზარდა.

უმაღლესთო წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკის მეჩაიეებმა, რომლებმაც 412 ათასი ტონა მწვანე ჩაის ფოთოლი დაამზადეს.

მეციტრუსეებმა, უწინარეს ყოვლისა აჭარის ასს რესპუბლიკის, აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, მახარაძის, ლანჩხუთისა და მთელი რიგი სხვა რაიონების მეციტრუსეებმა ნაყოფიერი შრომის წყალობით წარმოებული და დამზადებულია რეკორდული რაოდენობის ციტრუსები.

რესპუბლიკის მებაღეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 356 ათას ტონაზე მეტი ხილი, მაშინ, როცა ვალდებულებით გათვალისწინებული იყო 345 ათასი ტონა. აქედან გორის რაიონის მებაღეთა წილად მოდის 23,3 პროცენტი.

შარშანდელმა წელმა ერთხელ კიდევ თვალნათლივ დადასტურა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ქართლის რაიონების ზონაში ინტენსიური მებაღეობის განვითარების სწორი კურსი აიღეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევმა თავის გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმას, რომ საჭიროა ეფექტიანად გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის ძირითადი ფონდები და გავაძლიეროთ ბრძოლა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დანაკარგების წინააღმდეგ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმზე მოხსენებაში ხაზგასმით აღინიშნა სოფლის მეურნეობის ძირითადი ფონდების და, უწინარეს ყოველისა, მიწის რესურსების გამოყენებაში არსებული ნაკლოვანებები.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში რამდენადმე გაიზარდა მარცვლეულის, განსაკუთრებით სამემდოგომო ხორბლის მოსავლიანობა, 1977 წელს რესპუბლიკამ ვერ შეასრულა მისი წარმოების გეგმა. ეს კი იმის შედეგია, რომ დამაკმაყოფილებლად არ მუშაობდნენ, რათა გამოიყენებინთ მიწა მარცვლეულისა და განსაკუთრებით სიმინდის დასათესად.

მეცხრე ხუთწლედში და მეათე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში ყველაზე დიდი ჩამორჩენა იყო მევენახეობაში. ამაში საკმაოდ დიდი როლი შეასრულა ავდრმა ამინდმა. მაგრამ მარტო ბუნების ჭირვეულობით ვერ ავხსნით იმას, რომ მეცხრე ხუთწლედში სახელმწიფოს დააკლდა 386 ათასი ტონა, ახალი ხუთწლედის ორ წელიწადში კი 187 ათასი ტონა ყურძენი.

შარშანდელმა წელმა ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ ვენახების მოვლა და ვაზის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა საოკეთესო მევენახეობის მეურნეობებშიც კი ჯეროვან დონეზე არ წარმოებს. ბევრი ღონისძიება უხარისხოდ ანდა დაგვიანებით ხორციელდება და სასოწარკვეთილ ეფექტს არ იძლევა. საარქნობი შედეგები ვერ მოიტანა ვერც სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის გაწეულმა მუშაობამ.

შარშან მთელმა რიგმა რაიონებმა სერიოზული ნაკლოვანებანი დაუშვეს მრავალწლოვანი ნარგავების გაშენების გეგმების შესრულებაში, მიუხედავად იმისა, რომ ყველა პირობა ჰქონდათ ამ გეგმების გასანაღდებლად. ვერ ათვისეს ორ მილიონამდე ვაზის ნერგი და ინტენსიური მებაღეობის დიდძალი ხეხილის ნერგები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა მეცხოველეობის განვითარებისათვის და უკვე მიღწეული პირველი შედეგებიც: გაიზარდა პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, რისი მეთხებითაც მნიშვნელოვნად გადიდდა მათი დამზადება.

როგიონი მაჩვენებლებია მიღწეული გასულ წელს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაშიც. გაიზარდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორისა და მეცქეელის სულადობა, გადიდდა ძროხის საშუალო წველადობა, ხორცის, რძისა და კვერცხის წარმოება. მიღებულია ხბოსა და ბოჭის დიდი ნამატი, შემცირდა პირუტყვის გაწყდომა. მაგრამ მეცხოველეობის პროდუქტებზე მზარდი მოთხოვნილება ჯერ კიდევ სრულად ვერ კმაყოფილდება. ამასთან დაკავშირებით აქტივის კრებაზე სერიოზული სჯა-ბაასი გაიმართა იმის შესახებ, თუ როგორ გამოსწორონ ეს მდგომარეობა.

მეცხოველეობაში ყველაზე ნაკლოვანებად ითვლება საკვებწარმოების საკითხი. 1977 წელს უხეში საკვების, მათ შორის თივისა და სენაჟის დამზადების გეგმა შესრულდა, მიღებულია მეტი კონცენტრირებული საკვები, რის შედეგადაც ზამთრისთვის მეტი საკვები დამზადდა, ვიდრე 1976 წელს; მაგრამ რესპუბლიკის ყველა მეურნეობამ როდი უზრუნველყო თივისა და სენაჟის დამზადების გეგმის შესრულება, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ უყურადღებ საკვებზე, როგორიც არის სილოსი, საკვები ძირხვენები და ბალახის ფხვნილი.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილშია აღნიშნული, სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარება უმნიშვნელოვანესი საერთო-სახალხო ამოცანაა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად კი მეათე ხუთწლედის მესამე წლის პირველი დღეებიდანვე უნდა ვიმუშაოთ რიტმულად, აწყობილად და მთელი ძალები წარიმართოთ ორი ძირითადი მიმართულებით: კარგად მოვემზადოთ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის და ორგანიზებულად, უდანაკარგოდ გამოვაზამთროთ პირუტყვი. საჭიროა ამთავითვე გავამზადოთ მთელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და პირველი შესაძლებლობისთანავე შეეუდგეთ მრავალწლოვანი ნარგავების გაშენებას, რაც შარშან ვერ მოესწრო. სამწისოდ კი, აღინიშნა კრებაზე, ჩვენს მეურნეობებს ყველა საჭირო რესურსი აქვთ.

1977 წელს რესპუბლიკაში კიდევ უფრო განვითარდა ყველა სახეობის ტრანსპორტი. ამიერკავკასიის რკინიგზამ საქართველოს სს რესპუბლიკის ფარგლებში შარშან გადაჭარბებით შეასრულა ტვირთის გადაზიდვის გეგმა, გადამტვირთველია ადგილობრივი ყველა უფნიშვნელოვანესი სახეობის ინდუსტრიული ტვირთის მიზედვით, გარდა მანგანუმის მადნისა.

1978 წელს მოსალოდნელია ტვირთის გაზრდისა და ტვირთბრუნვის საგრძნობი ზრდა. ეს კი რკინიგზის ხელმძღვანელობას, აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტის მომსახურებით მოსარგებლე საწარმო-ორგანიზაციებს ავალებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა მაქეთრად შემცირდეს ვაგონების მოცდენა სადგურებში დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს და ამაღლდეს მოძრავი შემადგენლობის გამოყენების ეფექტიანობა.

ყველა სახეობის გადაზიდვა-გადაყვანის წლიური გეგმები შესრულდა საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოსა და საქართველოს სახლვარ სანაოსნოს ხაზითაც.

გასულ, 1977 წელს დადებითი ძვრები შეიმჩნეოდა რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაშიც. სამეშლოტაციოდ გადაეცა 969 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, შესრულდა ზოგადსაგანმათლებელი სკოლების, სბავშვო ბაღების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები.

ამოქმედდა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული მთელი რიგი დიდი საწარმოები და ობიექტები, მათ შორის — ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, სოხუმისა და ზაპესის სახლთსაშენებელი კომბინატები, მცხეთის ნავთობბაზა, ხაშ-მცხეთის საავტომობილო გზა, ზზიფისა და გაჩიანის ხორცკომბინატები, ბორჯომის რძის ქარხანა, ოთხი ღვინის ქარხანა, ჩაის ფაბრიკები, დიდი საშენები ნაგებობანი.

გარკვეული წარმატებანია მიღწეული სასოფლო მშენებლობაშიც, სადაც 300 მილიონ მანეთზე მეტი კაპიტალური დაბანდება ითვისეს. მწყობრში ჩადგა ქაჯრეთის, ქუთაისის, ფოთის ელევატორები, ბარეჯის, რატევნის, ძველი სენაკის, განახლებისა და სამტრედიის მსხვილი მეცხოველეობის კომპლექსები, ამოქმედდა მეკვერცხეთის მიმართულების მეფრინველეობის ფაბრიკები 238 ათასი მოკვეცულსათვის, მეცხოველეობის საფუძველი 25 ათასი სული პირუტყვისათვის, 42 ათასი ტონა მინერალური საკვების საწარმოები, 7,4 ათასი ტონა ტყვადობის ბოსტნეულ-კარტოფილსაცავები.

საინტერესოა, რომ ამ ეტაპზე, ეკონომიკურ ბერკეტებზე, ეკონომიკურ ინტერესებზე, ეკონომიკურ ანგარიშზე, ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, ეკონომიკურ ეფექტიანობა

პროტესტის ხმა ძლიერდება

მსოფლიო საზოგადოებრიობა გმობს პენტაგონის საშიშ გეგმებს

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გრძელდება საპროტესტო კამპანია პენტაგონისა და ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განზრახვის წინააღმდეგ — გაშალონ მასობრივი მოსპობის იარაღის ახალი ნაირსახეობის — ნეიტრონული ბომბის წარმოება და განალაგონ იგი ნატოს მთელი რიგი მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე.

სოფია. ახალი წლის წინ „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის პასუხმა, ხაზგასმულია კომენტარში, რომელიც განუთმა „რაბოტნიჩესკო დელომ“ გამოაქვეყნა, დიდი სიმწვავით დააყენა საკითხი გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და ყბადაღებული ნეიტრონული ბომბის შესაძლო წარმოების შედეგების შესახებ. ეს იარაღი, რომელსაც ფართო რეკლამას უწევს პენტაგონი, ხაზგადაგებრიობის უფართოესი წრეების პროტესტს იწვევს. სულ უფრო ძლიერად გაისმის ხმები, რომლებიც დაბეჯითებით მოითხოვენ დაადგნენ ერთადერთ გონივრულ გზას — დძაბულობის შენელებასა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტას.

უნდა მოგიგონოთ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები ომის შესახებ, რომ, თუ ნეიტრონული ბომბი შეიქმნება დასავლეთში, სსრ კავშირი არ დარჩება პასიური მეთვალყურე, წერს კომენტატორი. აქედან გამომდინარეობს ერთადერთი გონივრული დასკვნა — ამ იარაღზე ურთიერთზელისაღება, გულწრფელი და ურთიერთსასარგებლო მესწრაფება თანასწორი უშიშროებისა და მშვიდობისაკმი.

სან-ფრანცისკო. რიგითი ამერიკელები გმობენ პენტაგონის გეგმებს. ამას დამაჯერებლად მოწმობს მკითხველთა წერილები, რომლებიც გაზეთმა „ლოს-ანჯელოს ტაიმსმა“ გამოაქვეყნა.

შეერთებულ შტატებს უშუალო პასუხისმგებლობა აკისრება გამალებული შეიარაღების მუდმივი განვითარებისათვის, ნათქვამია ლენა მოახდინა საერთაშორისო ვითარებაზე და დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს აღუძრა ერთმანეთთან თანამშრომლობის ინტერესი.

როგორც ბაუდისინმა თქვა, საბჭოთა კავშირის სამხედრო სტრატეგია საკისებით ექვემდებარება თავდაცვითს მიზნებს. არც საბჭოთა კავშირს, არც ვარშავის ხელშეკრულების სხვა მონაწილე ქვეყნებს არა აქვთ აგრესიული ზრახვები, ვანაცხადა გენერალმა.

კოლომბო. ამერიკის ადმინისტრაციის განცხადებანი, თითქოს ნეიტრონული ბომბი — ეს არის „სუფთა“ და „ჰუმანური“ იარაღი, მთელი პროგრესული კაცობრიობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს, ნათქვამია შრი ლანკის შრომის ფედერაციის განცხადებაში. ჩვენი ხალხი საკისებით მხარს უჭერს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფის პოლიტიკას. ჩვენ თანამიმდევრულად ვიღწვით სუფთა ველთაო განიარაღებისა და ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გეგმები კი ძირს უთხრის კაცობრიობის იმედებს.

ეროვნული ინიციატივა

ის კაცი კომუნისტია

ვინც ააშენა ქვეყანა
ხმელა პურით და ლოდით,
ის კაცი კომუნისტია,
— მოდით, მის გვერდით სწორდით!

უგზო კაცს გზა რომ დაუდო,
წყარ..ი უდინა კორდით,
ის კაცი კომუნისტია,
— მოდით, მის გვერდით სწორდით!

თითონ რომ ჯამით წაიღო,
ხალხს კი მიურწყა კოდით,
ის კაცი კომუნისტია,
— მოდით, მის გვერდით სწორდით!

ფრთა რომ შეასხა უფრთო კაცს, —
ფრთას რომ ნატრობდა ოდით,
ის კაცი კომუნისტია,
— მოდით, მის გვერდით სწორდით!

ვინაც ახარა მამულში
მომავლის მწვანე ყლორტი,
ის კაცი კომუნისტია,
— მოდით, მის გვერდით სწორდით!

კაცის სულშიც რომ იპოვა
ოქროს ულევი ზოდი,
ის კაცი კომუნისტია,
— მოდით, მის გვერდით სწორდით!

რომ ააყვავა უდაბნო
მდინარეების ტოტით,
ის კაცი კომუნისტია
— მოდით, მის გვერდით სწორდით!

ვინც არ დაუწყებს ხვალის ბედს
გულხელდაკრეფით ლოდინს,
ის კაცი კომუნისტია,
— მოდით, მის გვერდით სწორდით!

ვინც საუკუნეს გაუძღვა
ბრძოლით, შრომით და ცოდნით,
ის კაცი კომუნისტია,
— მოდით, მის გვერდით სწორდით!

აღარ ეგების ჩაგება
ამოღებული გორდის, —
კომუნისტების მხარდამხარ
სწორდით, სწორდით და სწორდით!

10/1978 წ.

ამერიკელ ჟურნალისტთა ასოციაციის ... ბანკეტზე

... ბენ ბრედლი

... ბენ ბრედლი ... ბენ ბრედლი

ბენ ბრედლი ... ბენ ბრედლი ... ბენ ბრედლი ... ბენ ბრედლი

დაოსტატების გზაზე

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე

მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის კონფერენციებზე გაიმართა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა ახალგაზრდა ქართველი პროზაიკოსებისა და პოეტების ნაწარმოებების განხილვას.

სხდომას უძღვებოდა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი კ. სიმონოვი, რომლის შესავალი სიტყვის შემდეგ გამოვიდნენ და ქართველი ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაზე, მათი პროფესიული ოსტატობის ზრდისა და დახელოვნების საკითხებზე ილაპარაკეს კრიტიკოსებმა, პროზაიკოსებმა, პოეტებმა, ლიტერატორებმა — გ. გვეტაძეფოელმა, ე. ევტუშენკომ, ა. რეკემჩუკმა, ვ. პერეცოვმა, ი. გრინბერგმა, გ. ლომიძემ, მ. სინელნიკოვმა, ი. რაიშენცევმა, ე. ნიკოლაევსკაიამ, ვ. ოგნევმა, ი. თარბამ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ჯ. ჩარკვიანმა, რომელმაც კრძოდ აღნიშნა:

— უფრესი მადლობა უნდა მოვახსენო ქართული ლიტერატურის საბჭოს წევრებს, რომლებიც ასეთი ინტერესით და გულისყურით, დიდი მეგობრული ტაქტით მოეკიდნენ ახალგაზრდა ქართველ მწერალთა ნაწარმოებების განხილვას. აქვე მინდა განსაკუთრებით აღენიშნო ის სასიამოვნო ფაქტი, რომ ჩვენი ლიტერატურის საბჭო მეტად ნაყოფიერად მუშაობს და ძალიან ბევრს აკეთებს მას შემდეგ, რაც მას ხელმძღვანელობს ქართული ლიტერატურის მეგობარი, შესანიშნავი საბჭოთა მწერალი და მოქალაქე კონსტანტინე სიმონოვი. ჭეშმარიტია ხუტა გაგუას — ქართული ლიტერატურული საბჭოს პასუხისმგებელი მდივნის მუშაობა.

სულ რამდენიმე დღის წინათ ამ დარბაზში მიმდინარეობდა პრინციპული და ხაქმიანი საუბარი რესპუბლიკის, ახალგაზრდა ლიტერატორთა ნაწარმოებების თაობაზე. სასიხარულოა, რომ სრულიად საკავშირო ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიურომ დადებითად შეაფასა ჩვენი მუშაობა ახალგაზრდა შემოქმედებელ კოლექტივებთან. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. საქართველოს მწერალთა კავშირი ახალგაზრდებს ხშირად გზავნის შემოქმედებითი მივლინებებით რესპუბლიკასა და ჩვენი ქვეყნის მშენებლობებზე, რაიონებსა და სოფლებში. გვჯერა, რომ სულ მალე ახალგაზრდა მწერლები და პოეტები გაგვახარებენ მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით, რომელთა გმირი იქნება ჩვენი თანამედროვე, ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანი, დაგვანახებენ იმ წვლილს, რომელიც მათ შეაქვთ კომუნიზმის დიად აშენებლობაში. ყოველივე ეს კი იმ ზრუნვისა და ყურადღების პასუხიც იქნება, რასაც მოსკოველი კოლეგები იჩენენ ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობის მიმართ. რა დასამალია, და, წინათ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები ასეთი ყურადღებით რიდი იყვნენ განებივრებულნი...

სხდომის მუშაობის შედეგები შეაჯამა კ. სიმონოვმა, რომელმაც კრძოდ, აღნიშნა:

— საერთოდ, ჩემზე ახალგაზრდა ქართველმა ლიტერატორებმა დ. ბედიანიძემ, ნ. შატაძემ, ჯ. დავლიანიძემ, ვ. ჩხიკვაძემ, გ. ოდიშარიამ, რ. სმირიმ, მ. კაზიტინ სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვეს. მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია ცალკე გამოვყო ნ. შატაძის მოთხრობები, რომლებიც სავსეა დიდი ადამიანური სითბოთი და ძწერლური ოსტატობის ჩხრიკაც გამოირჩევა. ახალგაზრდა ქართველ კოლეგებს მივულოცავ წარმატებებს და მომავალში ახალ შემოქმედებითს გამარჯვებებს ვუსურვებ. მალე ჩვენ კიდევ შეეხვედებით ამ დარბაზში ერთმანეთს, როცა ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაზ“ მუშაობას განვიხილავთ. ქართული ლიტერატურის საბჭოს ყველა წევრის აზრით, ეს ჟურნალი ერთ-ერთი საყურადღებოა ჩვენს ქვეყანაში.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
ქ. მოსკოვი.

ფოტოარეში გაგვიცარა

„ფითელქუდა“ თბილისში



ნითელქუდა შეშინებულ თვალებით მიეგება პატარებს. აქვე მგელი იდგა, ბოროტი და კბილებდალესილი. პატარებს, აბა, რა შველა შეეძლოთ... გაიხედეს და ეს რა საოცრებაა? ჩხავანა ფისო წრუწუნას დადევნებია, აქ ნიანგი — გენა ნაღვლიან სიმღერას ღიღინებს, აქეთ კი ექმან აიბოიტს გარს შემოჯარავნია ბეჭემოტი და დათუჩა, ყურებცაწყარა კურდღელი და გრძელკისერა ჟირაფი.

ეს ამბავი, მკითხველო, არც ზოოპარკში მომხდარა და არც ცირკის არენაზე. ყოველივე ეს ამ დღეებში გახსნილ გლდანის ბუ-6 მიკრორაიონის ახალ საბავშვო ბაღის კედლებზე ფიგი განკუთვნილია 280 ბავშვისათვის.

ამ ბოლო დროს ბეგრმა ჩინებულმა შენობამ დაამშვენა ჩვენი დედაქალაქი. ეს განსაკუთრებით ითქმის თბილისის ახალი დასახლების — გლდანის მისამართით, სადაც უკანასკნელ წლებში აშენდა კარგად, მკვიდრად ნაგები საცხოვრებელი სახლები, სამკურნალო დაწესებულებები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები.

ახალი საბავშვო ბაღი გარეგნულად თითქოს არაფრით გამოირჩევა ახლომდებარე საბავშვო ბაღებისაგან — ტიპობრივი პროექტით არის ნაგები, მაგრამ პროექტი ერთია, მთავარია, როგორ აგებ. ამ ჩხრიკი ქართლაც გამოუჩენიათ თავი მშენებლებს. შეხვალთ შენობაში და უმალვე იგრძნობთ, თუ რა დიდი სიყვარული ჩაუქსოვიათ მათ ყოველი კუთხე — კუნჭულს ხარისხიანად შესრულებაში. სამუშაოს კი ასრულებდა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 13 ტრესტის № 5 სამშენებლო სამართველო (ტრესტის მმართველი გ. გოგიჩაძე, სამმართველოს უფროსი გ. რამიშვილი, სამუშაოთა მწარმოებელი მ. კუპრაშვილი).

ეს სწორედ ის ხალხია, რომელთაც დავალებული ჰქონდათ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მშენებლობა. ამ მშენებლობის დამთავრების შემდეგ № 5 სამმართველოს მუშახელი გლდანში საბავშვო ბაღის მშენებლობას შეუდგა, რომელიც ეს-ეს არის დაამთავრეს კიდეც. სახელმწიფო კომისიამ მშენებლობა ფრიადზე შეაფასა.

ფართო, ნათელი ოთახები პატარებს შესანიშნავ პირობებს შეუქმნის დასვენებაია და გართობისათვის. მხატვართა ბრიგადას გემოვნებით მოუხატავს კედლები ბავშვების საყვარელი ზღაპრების პერსონაჟებით. შესასვლელთან კი წითელქუდა დაუხატავთ, აკი ამიტომაც დარქვეს „წითელქუდა“ საბავშვო ბაღს მშენებლებმა.

ახლა კი ის მშენებლები ნოეიხსენიოთ, რომლებმაც ენერგია არ დიშურეს ჩვენი პატარების გულგასახარად. სამუშაოს აწარმოებდა მემონტაჟეთა ბრიგადა საქართველოს დამსახურებული მშენებლის გ. მანელიძის ხელმძღვანელობით. თავი ისახელეს მემონტაჟეებმა ნ. სხალაძე, ე. კაპანაძემ, დურგლებმა ა. აპრესოვმა, მ. კაზიევმა, ვ. ბოსიკაშვილმა, მლესავთა ბრიგადამ მ. ცილაძის და მღებავთა ბრიგადამ ი. კარაპეტიანის ხელმძღვანელობით, მოხატვის სამუშაოები შეასრულეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა მშენებელმა ბ. მაისურაძემ და ა. გრიგორიანმა.

• • •

სურათებზე: ზემოთ — ხ. ბავშვო ბაღის „წითელქუდას“ შენობის ხედი; ქვემოთ — მუსიკალური ოთახი.

ხ. კილაძის ფოტო.

საკონფერენციო დარბაზებში

შემოქმედებითი სიმწიფე

16 იანვარს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ნათელა მკერვალიძის გამოსვლით აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიხსნა კონცერტების სერია ციკლიდან „ახალგაზრდათა შემოქმედებას—პარტიული ზრუნვა“.

საღამო გახსნა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, პროფესორმა დ. მჭედლიძემ, რომელმაც აღნიშნა თუ რა მრავალმხრივი შემოქმედებითი ინტერესები აქვს თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სოლისტს ნ. მკერვალიძეს.

ამ თეატრის სცენაზე მან შექმნა მთელი რიგი დასამახსოვრებელი სახეები — მარო, ეთერი, მარეხი, ქეთო, მზია და ბევრი სხვა ქართველი ქალის სახე, რომლებიც მაყურებელს ხიბლავენ სინაზით, მომხიბვლელობით, სულიერი სიწმინდით. მომღერლის შესანიშნავი, როგორც მაღალ, ისე დაბალ რეგისტრებში ერთნაირად თანაბარი ხმა სულ უფრო ხშირად ეღერს ამ უკანასკნელ ხანს საკონცერტო სცენაზე. იგი რესპუბლიკის ქარხნებისა და ფაბრიკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ჯარის ნაწილების ხშირი სტუმარია.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ ილაპარაკა მსახიობის შემოქმედებითს სიმწიფეზე, მის პოპულარობაზე.

მსახიობის სახლში საღამოზე ნ. მკერვალიძემ კიდევ ერთხელ ცხადყო თავისი ნიჭის სიმწიფე, ფართო შემოქმედებითი დიაპაზონი. მან ერთნაირად კარგად შეასრულა „ლელადან“, ჩიო-ჩიო-სანის არია პუჩინის ამავე სახელწოდების ოპერიდან, ვიოლეტას არია ვერდის ოპერა „ტრავიატადან“, შტრაუსის „ენის ტყის ზღაპრები“ და არდიტის „კოცნა“, კოლმანოვსკის, ლადეის სიმღერები, დეორეკის „იუმორესკა“, მასნეს, მაჰავარიანის რომანსები.

მომღერლის ნიჭის მრავალმაგიანისმცემელმა მხურვალე ტაშით დააჯილდოა მსახიობიც და კონცერტმეისტერიც, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი რ. გლეზერი. (საქინფორმი).

ჭადრაკის ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

ოქროს, ვერცხლის

ზურაბ აზმაიფარაშვილის და ქეთევან მელაშვილის წარმატება

ლიბავის ქალაქ კაპსუკასში დამთავრდა გოგონათა და ჯაბუკთა სსრ კავშირის ჩემპიონატები. გოგონათა შეჯიბრებაში ქულათა თანაბარი როდენობა — 7,5-7,5 დააგროვეს ელენე სტუპინამ (რსფსრ) და ქეთინო მელაშვილმა (საქართველო). კოფიციენტების ცხრილით უპირატესობა სტუპინას მიენიჭა და ამაგი გადაეცა ოქროს medalი. ქეთინომ შარშანდელი ჩემპიონატის მსგავსად წელსაც ვერცხლის medali მიიღო. ჯაბუკთა შეჯიბრებაში ჩემპიონის წოდება მოიპოვა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა. იგი ოქროს medalით დაჯილდოვდა.

რჩება სამი ტური

თბილისის ეაკთა საჭადრაკო ჩემპიონატის დამთავრებამდე 3 ტური რჩება. სწორედ ესნ უნდა გამოავლინოს 3 გამარჯვებული, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლებას მიიღებს.

14 ტურის შემდეგ 10 ქულით პირველ ადგილზეა ოსტატი ი. ჩიქოვანი, რომელიც შეჯიბრების ერთადერთი დაუმარცხებელი მონაწილეა. 8,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს ოსტატ ნინო გურევიჩს, რომელიც სერიოზულ კონკურენციას უწევს თავის მსაწავლებელს.

ფეხბურთი

„ნედელიას“ პრიზზე

მოსკოვსა და ლენინგრადში გრძელდება ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირები „ნედელიას“ პრიზზე. გთავაზობთ გუშინდელი მატჩების შედეგებს:

მოსკოვი. პირველი ქვეჯგუფი. ცსკა-„ბოგემიანსი“ (პრაღა) — 3:2, „ტორპედო“ (მოსკოვი)-„პასტაკორი“ (ტაშკენტი) — 0:0.

ლენინგრადი. პირველი ქვეჯგუფი. „დინამო“ (კიევი)-„შასტიორი“ (დონეცკი) — 1:1. მეორე ქვეჯგუფი. „ზარია“ (ვოროშილოვგრადი)-„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — 2:0.

კალათბურთი

ქვლავ ერთი ქ უ ლ ი თ

ამერიკელი ტურნეს მეორე მატჩი სსრ კავშირის კალათბურთელ ვეთა ნაკრებმა გამართა სოლ-ლეიკ-სიტში ბრიგამემის უნივერსიტეტის გუნდთან. ისევე როგორც წინა შეხვედრაში, საბჭოთა სპორტსმენებმა ერთი ქულის უპირატესობით „გაიმარჯვეს. ამჯერადაც, როგორც პირველ მატჩში, გადამწყვეტი 2 ქულა გუნდს ოთვალმამ მოუტანა. ამ დაძაბულ შეხვედრას დაესწრო 23 ათასი მაყურებელი.

„სპორტლოტოს“ ტ ი რ ა ჟ ი

გაცნობებთ 18 იანვარს გამართული „სპორტლოტო“ და „სპორტლოტო-2“-ის მესამე ტირაჟის შედეგებს:

„სპორტლოტო“: 2 (ავტოსპორტი), 5 (ბადმინტონი), 11 (ველოსპორტი), 12 (წყალსაბოტაო სპორტი), 18 (რიკტაფელა), 38 (მშვილდოსნობა), შეღავათიანი ბუთი — 23 (მძლეოსნობა).

„სპორტლოტო-2“ 2 (ავტოსპორტი), 18 (რიკტაფელა), 27 (მოტოსპორტი), 31 (ცურვა), 36 (მშვილდოსნობა) ,42 (ძალოსნობა), შეღავათიანი ბუთი — 14 (ფრენბურთი). (საკავშირო).

ბ. მახარაძე

55 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა ... ბ. ... ...